



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 929
08/05/2018

ქალაქი ბათუმი

929-05-4-201805081204



„დავით ვარშანიძეზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტზე მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 აპრილის №693 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და დავით ვარშანიძის 2018 წლის 03 მაისის №1279-05 განცხადების საფუძველზე **გბრძანებ:**

1. „დავით ვარშანიძეზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტზე მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ“- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 აპრილის №693 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. დავით ვარშანიძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს დაეკისროს მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შესრულება, 2018 წლის 04 მაისიდან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების II რანგის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსის წესით შერჩეული კანდიდატის დანიშვნამდე.“.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს შრომის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა